109

ბიბლიოთეკა

წელ. პირველი | ქვირა, 13 აგვისტო 1906 წ. | № 17

ჯვარი ვაზისა

გამოდის ყოველ კვირას
ღირს 3 მ. ფ. ც. № 10 კაპ.

რედაქცია „ჯვარი ვაზისა"
კათოლიკების ქუჩა № 4

შინაარსი

ღღევანდელი სახარება. — უმაღლესი მანიფესტი. — რომი (საკუთარი კორესპოლენტისაგან). — ღაბა არღანუჯი. ქართველთ კათოლიკეთათვის ეპარქიის გახსნა ქ. თფილისში. — პასუხი ივან ზაქარიანისა. — მოგონება გაბრიელ ეპისკოპოზეკ. — არღანუჯის ეკლესია. — ახსნა ხომეხ კათოლიკეთა ხაზოგადოება. — ჯვარეთი.

ღღევანდელი სახარება.

(ლუკაში თავ. 10. 25 – 37)

და მიეკცა მოწაფეთა მისთა თვისთაგან და ჰრქვა: ნეტარ არიან თვალნი რომელნი ჰხედვენ რომელსა თქვენ ჰხედავთ, და ესმის რომელი თქვენ გესმის. ხოლო გეტყვი თქვენ რამეთუ მრავალთა წინასწარ-მეტყველთა, და მეფეთა უნდა ხილვა რომელსა თქვენ ჰხედავთ და ვერ იხილეს, და სმენად რომელი თქვენ გესმის და ვერ ესმა.

და აჰა ესე რა ჰსუჯლის მეცნიერნი ვინმე აღჰსდგა და გამოსცდიდა იესოს და ეტყოდა: მოძღვარ რა ვჰიქმენ რათა ცხოვრება საუკუნო დავიმკვიდრო: ხოლო თავადმან ჰრქვა მას, ჰსჯულსა ვითარ წერილ-არს ვითარ აღმოიკითხავ. ხოლო მან ჰრქვა შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა. და ყოვლითა ძალითა შენითა, და ყოვლითა გონებითა შინითა და მოყვასი შენი ვითარცა თავი თვისი. ჰრქვა მას იესო მართლ-მოჰიგე. მაგას იქმოდე და ჰსცხოვნდე. ხოლო მას

უნდა განმართლება თავი თვისი და ჰრქვა იესოსა და ვინარს მოყვასი ჩემდა

მიუგო იესო დი რქვა კაცი ვინმე გარდმოვიდოდა იერუსალიმათ იერიქოდ, და ავაზაკნი დაეხსნეს განჰძარცვეს იგი, დაჰსწყლულეს და წარვიდეს და დაუტევეს მოწყდარი.

ხოლო დამთხვევიათ მღვდელი ვინმე შთავიდოდა მასვე გზასა, და იხილა იგი და თანა წარჰხდა. და ეგრეთვე ლევიტელი მასვე ადგილსა მივიდა, იხილა იგი თანაწარჰხდა. მერმე სამარიტელი ვინმე წარვიდოდა, მოვიდა მასვე ადგილსა, იხილა იგი და შეეწყალა მოვიდა მისა და შეუხვია წყლული იგი,

დააესხა ზეთი და ღვინო აღსვა იგი კარაულსა თვისსა და მოიყვანა იგი ყოველთასა მას სადგუსა და ილვაწა იგი და ხვალისაგან გამორავიდოდა

ორი დრაკანი მისცა ყოველთა სადგურის მოღვაწესა მას და ჰრქვა ილვაწე ეგე და სხვა თუ რამე წარაგო უმეტესი, მორავიდე მიგცე შენ. ვინ უკვე ამათ სამათგანი გგონიეს შენ მოყვას მისსა, რომელ იგი შეჰყარდა ავაზაკთა მათ ხოლო-მან ჰსთქვა რომელმან ჰყო წყალობა. მისთანა არქვა მას იესო ვიდოდე და ჰყოფდი შენც ეგრევე.

უმაღლესი მანიფესტი

—:—

წყალობითა ღვთისათა ჩვენ **ნიკოლოზ** მე-II, **იმპერატორი** და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვ. და სხვა და სხვათა.

ვუცხადებთ ყველა ჩვენ ჰეშმარიტ ქვეშევრდომთ: ნებითა ჩვენითა მოწვეულ იყვნენ კანონ-მდებლობით აღშენებისთვის პირები, არჩეული მცხოვრებლებისაგან. მტკიცედ ვამყარებდით რა იმედს ღვთის, წყალობაზე, კურნამდა რა ბრწყინვალე მომავალი ჩვენი ხალხისა, ჩვენ ველოდით მოღვაწეთაგან სარგებლობას ქვეყნისათვის ხალხთა ცხოვრების ყოველ დარგში. ჩვენ აღვნუსხეთ რთული ცვლილებები. უპირველეს ადგილზე დავაყენეთ უმთავრესის ღვაწლი ხალხში სიბნელის გაფანტვა განათლებით და ხალხთა ჭირ-ვარამის განკურნება მიწათმფლობელობის პირობათა შეცვლით. საბედნიეროთ ჩვენი მოლოდინი განქარწყლდა, ხალხის მიერ არჩეულ წარმომადგენლებმა კარგად ბრძენლობით მუშაობის მაგივრათ. გადაუხვიეს გზას და მოკიდეს ხელი მათთვის არ მიკუთნებულ დარგს, შეუდგნენ რა გამოკვლევას მოქმედებათა ჩვენ მიერ არჩეულ და დაყენებულ მთავრობათა, გვიჩვენებდენ რა ძირითად კანონების ნაკლზე, რომელთა შეცვლა დამოკიდებულია ჩვენზე. ამითი ისინი არ დაკმაყოფილდენ: ხალხის წარმომადგენლებმა არა კანონიერათ მიმართეს ხალხს სათათბიროს სახელით. ასეთი არევ-დარევით შეცდომაში შეყვანილი გლეხობა, აღარ ელოდა რა კანონიერათ თავის მდგომარეობის გაუმჯობესობას, მთელ რიგ გუბერნიებში მიმართა სხვის უძრავ-მოძრავ ცარცვა-გლეჯას ქონებისა, გლეხობა არ ემორჩილება არსებულ კანონს და წინააღმდეგობას უწევს კანონიერს მთავრობას, მაგრამ იცოდენ ჩვენმა ქვეშევრდომებმა, რომ მხოლოდ სრულ წეს-წყობილების და მშვიდობიანობის დროს შესაძლებელია ხალხის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობა. იცოდნენ ყველამ, რომ ჩვენ ავლაგმავთ ყოველგვარ თვითნებობას და არსებულ კანონების დარღვევას და მთელი სახელმწიფოებრივი ძალით ვაიძულებთ კანონის უარის მყოფელთა დაემორჩილონ ჩვენ მეფურ ნებას. მოუწოდებთ ყველა კეთილ მოაზრეთ რუსეთის ხალხისას შეერთდენ არსებულ კანონიერ უფლების მხარის დასაჭერად. რათა დამყარდეს მყუდროება და სიმშვიდე რუსეთში და დაგვეხმაროს უფალი განსახორციელებლად უმთავრეს საქმეფო შრომათა ჩვენთა, გაუმჯობესობაში გლეხთა კეთილმდგომარეობისა. რაისათვისაც ნება ჩვენი შეუდრეკელია და მხვნელ-მთესველი რუსეთის, სხვისი მფლობელობის შეუბღალავათ, მიიღებს შეძლებას იქ, სადაც თვალსაჩინოდ საგრძნობელია უადგილობა, კანონიერ და პატიოსანი საშუალებით ვააფართოვოს თავისი ადგილ მფლობელობასხვა ნოდებათა წარმომადგენელნი. მტკიცედ გვრწამს,

დაგვესპარებიან ოვისი მთელი ძალით ჩემოდ ოყვანილ სურვილის განსახორციელებლათ, რის საბოლოო გადაწყვეტა მიეკუთვნება კანონდებულებითი წესით მერმისში შემდგარ სათათბიროს. ვამტკიცებთ მასთანვე, რომ ჩვენი შეურყეველი გადაწყვეტილება დარჩება ჩვენთვის კანონათ და ერთდროულად ამ გადაწყვეტილებასთან ჩვენი უქაზით უმართებელეს სენატისადმი. ბოძემულ ცხრა ივლის 1906 წ. დავნიშნეთ ვადა ახალი სათათბიროს შესადგენად 20 თებერვალი 1907 წელი. შეურყეველი რწმენით აღჭურვილი წყალობითა ღვთისათა და კეთილგონიერებითა რუსეთის ხალხისადმი, ჩვენ იმედი გვექნება, რომ მომავალში ახლად შედგენილი სახელმწიფო სათათბირო, მოიყვანს სისრულეში ჩვენთა კეთილსურვილთა და შეიტანს რუსეთის კანონდებულებაში, განახლებულ რუსეთის მოთხოვნილებისა-დაგვარად, შესაფერ მუხლებს. რუსეთის ჭესმარიტნო შვილნო, მეფე თქვენი მოგიწოდებსთ თქვენ, როგორც კეთილი მამა თავის შვილებს, შეთანხმდეთ მასთან განახლების ასაყვავებელ წმიდა საქმეში!! გვრწამს გამოჩნდებიან და დაიბადებიან მდიდარი აზრისანი და საქმენი მათი თავდავიწყებამდის მისული შრომით გაბრწყინდება დიდება ჩვენი საერთო ქვეყნის.

ბოძებულია პეტერგოფში 9 ივლის, დაბადებიდან ქრისტესა 1906 წელს და ჩვენი მეფობის მე-12 წელს.

ნამდვილზე საკუთარის მის უდიდებულესობის ხელით აწერია: **ნიკოლოზ.**

რომი

(სპეციალურ კორესპონდენტისაგან *)

(შემდეგი)

ბევრ მსთა მოკლე ისტორია,

სიფრანგეთას მმართველმა ერალობამ 1790 წ. აკრძალა მონაზონებისა ადთქმა, რაის გამო გაანძაეს ეკლესია თავანთ სახლებიდან. მსთოთან ეს კრძალვა ეპისკოპოსის მიდამოზენებიც. ამათ მსანც გაანურეს თავანთა კანონიერი მონაზონური ცხოვრება სიცოცხლეთ სახლებში. სოდა დადგა დროზე დეკენელობა ძლიერდებოდ და ბევრ ძლიერ-მონაზონების საცოცხლეს უსაბიდნენ. მსამა უფროსმა თერეზამ შეაგულიანა ეკლესია. რათა თავანთა საცოცხლე გამომეტებინა მეფეწარათ ღვთისათვის სიფრანგეთის დასაბრუნებლათ. ეკლესიამ ერთბარად გამოაცხადა, რომ ორის დროს დასტოვებენ თავანთ ადრეული მონაზონებრივის ცხოვრებას. და მზათ იყვნენ დიდებრად სასხლა ღვთის მეტეველისათვის. მაგრე დაეცვენ ეს თეკსმეტი მოდოზანი, ამიტომ რომ კიდეც მონაზონური ცხოვრობიდნენ. ეკრდ ორ ტეკეობაში დასტრნენ თავანთა ჩვეულებითა ცხოვრებიდგან. ეს რა ნახეს რომ ეოველ დიაე ესობათ მოეკვეთო თავის მოსაკვეთო, უფრო დაორეკეცილეს ღვთის მსახურება. მსთა დროც მიდე მოვიდა. წაიყვანეს სასამართლოშა, რომელიც სხვა არ იყო რა თუ არ სასამართლო კენმკვლელთა, სასამართლო სასხლის დოხვეკასა და რომელშაც სიმართლის შექმა კიდარ დარჩენილიყო. ეს შეესმინეს მოდოზნებია. რომ მონასტერში დაემიდეთ ანრადა. მაშინ მსა უფროსმა, უბიდგან ჯვარ-ცმა გამოიღო და უჩვენა. ეა ჩვენია ანრადა ეს არის, ამის მეტა ჩვენ სხვა ანრადა არაფერი გვქონია. კვლად შეესმინეს ფინეკიაობაზედ რომ თავანთა სარწმუნოებასგან და მონაზონური ცხოვრებისგან ხელს არ აიღებენო. ოვინიერ მსა მოსმენასა და ეზვუნას მიცემასა ეკლესია სასიკვდილოდ დასჯეს. დასჯაღების დროს არ აძლევდნენ დაბარკვასს, რადგან ბევრი კიდეც სხვანია იყვნენ, რომლებიც უნდა წამდგარიყვნენ ამ მაცალოთ კოლტის სამსჯავროშა. რათა სასიკვდილოდ დასჯის კანონები მიეღოთ. ამიტომ დასჯაღების ეკლესიას ეზვუნად დანძალვდნენ და ისე ასრულებდნენ სასიკვდილოთ. ეანაჩენის მოსმენის შემდეგომ ერთა დთაგანა მაუბრუნდ მეორეს და უთხრა: ჩემო სიყვარულნო დანო-, ამიტომ კასჯებთ რადგან ჩვენ ეპიყვარს ჩვენი სარწმუნოება. ჩვენ ეკლესიანი ანიტრობდეთ ამნაირად სარწმუნოების ადგილებს. ახლა უკვე ეკლესიანი ამას. კურთხეულია ეიოს მარადის უფალი. რომელმაც ოკეთონ გვაჩვენა ბარეკლად ეოლოგეთას ანზეთ-. რა ჩასვეს ეკლესია ურემში და წაიყვანეს შეადგინეს ს

[illegible]

[illegible]

[illegible]

პირველად ეს ეკლესიაც ამ თვალს აღურაცხველ შეალოთ, მაია დარსების დაგვარ, ანაჭებს მათ დადებას და წმადათა ტრაპეზზე სვამს თვანიერ მათას ტოშასა, სქესის და წოდების კერჩევისა.

მღ. მიხელ თამარათი.



დაბა არდანუჯი (ფოტოგრაფია ასლანოვისა).

ქართველ კათოლიკეთათვის ეპარქიის ზახნა საქართველოში, ძ. ტფილისში

(შემდეგი) *)

რა წავიდენ საქართველოდგან ზემო ხსენებული პატრიარქი და ორი ქართველთა ელჩი ნიკოლოზ თბილელი და ქასადან ყარჩეხან (ვგონებთ უნდა იყოს ფარსადან) სხვა ელჩებთან ერთად, გამოიარეს სამეგრელოში და დანუბის მდინარით უნგარეთს მივიდენ, იქიდგან წავიდენ გერმანიას და მიესალმნენ ფრედერიკო იმპერატორს; რა მივიდენ ვენეციას, იქაურმა სენატმა დიდის პატივით მიიღო. ხოლო რომას რა ჩავიდენ, მათ მიეგებნენ სასულიერო დასნი და ეპისკოპოსები და დიდის პატივით მიიღეს, როგორც მეფეთა ელჩნი, დააყენეს სამთავრო სახლებში და მთავრობის ხარჯითვე შეინახეს. ელჩები იყვნენ ხუთნი: ერთი ყვარყვარესი ქასადან, მეორე გიორგი მეფისა ნიკოლოზ თბილელი; მესამე სომხების მთავრისა მორალო; მეოთხე ჰასანბეგისა მაჰმეტ; მეხუთე დავით იმპერატორისა მიხეილ. 1460 წ. პაპის პიო მეორის წინაშე წარდგნენ და მოახსენეს ესრედ: „ოქვენ წარმოგზავნეთ ჩვენდამო მინორიტების წესის ბოლონიელი ლუდოვიკე, რომელმაც მოგვახსენა, რომ თქვენ წახვედით მანთოვას ქრისტიანებთან კრების მოსახდენად, რათა ძაჰმელს, ოსმალების იმპერატორს, ომი დაუწყოთ და ნატრობთ, ჩვენმა მთავრებმაც აზიაში ომი აუტეხონ, როდესაც ევროპაშა შეებმით. ეს ამბავი ძრიელ ესიამოვნათ ჩვენს მთავრებს, რადგან მათ სძულსთ ოსმალები და თქვენ კი უყვარხართ და პატივს გცემენ ისე, როგორც ქრისტეს ნაცვალსა: მზად არიან თქვენი ბრძანების აღსრულებისათვის. ჩვენს მთავრებს ერთმანეთში მძულვარება და ომი ჰქონდათ, მაგრამ თქვენმა ნუნციომ რა უბრძანა, მაშინვე შერიგდენ და აწ მზად არიან დაუწყონ ომი ოსმალებს, როდესაც კი თქვენ უბრძანებთ. 120,000

*) იხ. „ჯვარი ვაზისა“ № 16

ᲛᲔᲝᲛᲐᲠᲜᲘ ᲨᲮᲐᲚ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲔᲜᲘᲛᲝᲜ ᲛᲐᲰᲛᲔᲓ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲐᲮᲘᲐᲨᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲥᲔᲚᲔᲡᲞᲝᲜᲢᲐᲛᲓᲔ. ᲗᲠᲐᲥᲘᲐᲛᲓᲔ ᲓᲐ ᲑᲝᲡᲤᲝᲠᲘᲐᲛᲓᲔ ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲘᲜᲔᲑᲔᲗ ᲓᲐ ᲗᲣ ᲗᲥᲕᲔᲜᲪ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲔᲛᲘᲜᲔᲑᲗ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲡ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲖᲒᲖᲐᲕᲜᲔᲡ ᲔᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲕᲔᲛᲘᲮᲔᲕᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲐ ᲛᲔᲠᲮᲗᲐ, ᲙᲘᲗᲐᲠᲪᲐ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲖᲔ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲘᲡᲐᲡ. ᲔᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲒᲐᲣᲬᲧᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲤᲔ. ᲑᲐᲒᲠᲐᲢ (ᲛᲔᲤᲔ) ᲘᲕᲔᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲜ ᲒᲝᲠᲒᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲜᲘᲐ (ᲛᲐᲜᲘᲐ) ᲛᲐᲠᲯᲝᲗ ᲒᲣᲠᲘᲔᲚᲘ.... ᲐᲠ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲛᲐᲡ ᲒᲣᲗᲮᲝᲕᲡ. ᲠᲝᲛ ᲚᲣᲓᲝᲕᲘᲙᲔ. ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲐᲥ ᲛᲝᲒᲒᲕᲘᲧᲕᲐᲜᲐ. ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲝᲗ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲐᲓ ᲘᲛᲐᲗᲖᲔ, ᲕᲘᲜᲪ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ ᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲔᲡᲡ ᲛᲘᲡᲓᲔᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲡᲐᲣᲦᲐᲠᲗᲐᲜ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ.-

ᲖᲔᲛᲝᲗ ᲛᲝᲕᲘᲮᲡᲔᲜᲘᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲞᲘᲡ ᲙᲐᲚᲘᲙᲡᲢᲝ ᲛᲔᲡᲘᲯᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲢᲝᲛᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ. ᲐᲛᲐᲡ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲒᲕᲘᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ ᲧᲕᲐᲠᲧᲕᲐᲠᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲛᲐᲗᲘ ᲔᲚᲩᲘᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ ᲞᲐᲞᲗᲐᲜ. ᲐᲠ ᲓᲐᲕᲘᲙᲘᲬᲧᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲛ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲑᲣᲠᲒᲣᲜᲓᲘᲘᲡ ᲓᲣᲙᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲢᲠᲐᲞᲐᲖᲔᲖᲣᲜᲢᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲪ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲐᲥ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲐᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲓ ᲐᲠᲐ ᲕᲠᲐᲪᲮᲗ. ᲬᲔᲠᲘᲚᲨᲘ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ ᲑᲝᲚᲝᲜᲘᲔᲚ ᲚᲣᲓᲝᲕᲘᲙᲔᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲐᲓ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲡ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲔᲚᲩᲗᲐ (orator): ᲐᲠᲪ ᲘᲡᲐᲐ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲨᲘ. ᲕᲘᲡᲗᲐᲜᲛᲔ ᲝᲛᲘ ᲰᲥᲝᲜᲝᲓᲔᲡ ᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲔᲗ. ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲐᲛᲐᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ: -ᲩᲕᲔᲜ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲨᲔᲕᲔᲙᲐᲠᲘᲗ, ᲕᲔᲛᲝᲛᲗᲝᲗ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲡᲗ-. ᲐᲠᲪ ᲘᲡᲐ ᲡᲩᲐᲜᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲡᲝᲭᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡ ᲔᲬᲝᲦᲔᲑᲘᲜᲝᲡ. ᲐᲜᲣ ᲔᲡᲣᲠᲕᲔᲑᲘᲜᲝᲡ ᲚᲣᲓᲝᲕᲘᲙᲔᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝᲑᲐ. ᲔᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲪᲮᲐᲓᲘᲐ. ᲠᲝᲛ ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲡ ᲰᲐᲡᲐᲜᲑᲔᲒᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲓᲐᲡᲬᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲝᲠᲒᲘᲛ ᲓᲐ ᲧᲕᲐᲠᲧᲕᲐᲠᲔᲛ ᲐᲘᲠᲩᲘᲔᲡ ᲘᲒᲘ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲐᲓ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ ᲘᲛ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐ. ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲗᲔᲛᲝᲓ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲗ ᲙᲐᲚᲘᲙᲡᲢᲝᲛ ᲞᲐᲞᲛᲐ ᲛᲘᲐᲜᲘᲭᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲔᲑᲡ ᲘᲛ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲬᲐᲡᲣᲚᲘᲧᲝᲗ ᲠᲝᲛᲗᲐᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲜ ᲬᲐᲔᲧᲕᲐᲜᲐ ᲝᲠᲘ-ᲡᲐᲛᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ. ᲠᲐᲗᲐ ᲞᲐᲞᲡ ᲓᲐᲔᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲜᲐ ᲘᲒᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲐᲓ. ᲠᲝᲛᲗᲐᲡ ᲔᲚᲩᲘᲗᲐ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐᲨᲘ ᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲔᲓᲐ. ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲒᲐᲜ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲓᲒᲐᲜ ᲬᲐᲡᲣᲚᲘ ᲝᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ. ᲠᲐᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲚᲣᲓᲝᲕᲘᲙᲔ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲥ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲘᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲔᲑᲐ. ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲐᲓ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲡ. ᲠᲝᲛ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲚᲘ. ᲔᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲨᲔᲕᲔᲮᲔᲑᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲤᲔ. ᲑᲐᲒᲠᲐᲢ (ᲛᲔᲤᲔ) ᲘᲕᲔᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲜ ᲒᲝᲠᲒᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲜᲘᲐ (ᲛᲐᲜᲘᲐ) ᲛᲐᲠᲯᲝᲗ ᲒᲣᲠᲘᲔᲚᲘ.... ᲐᲠ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲛᲐᲡ ᲒᲣᲗᲮᲝᲕᲡ. ᲠᲝᲛ ᲚᲣᲓᲝᲕᲘᲙᲔ. ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲐᲥ ᲛᲝᲒᲒᲕᲘᲧᲕᲐᲜᲐ. ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲝᲗ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲐᲓ ᲘᲛᲐᲗᲖᲔ, ᲕᲘᲜᲪ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ ᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲔᲡᲡ ᲛᲘᲡᲓᲔᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲡᲐᲣᲦᲐᲠᲗᲐᲜ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ.-

ᲔᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲨᲔᲕᲜᲘᲨᲜᲝ ᲔᲡᲔᲪ. ᲠᲝᲛ ᲒᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲔᲚᲩᲘᲡ ᲔᲬᲝᲦᲔᲑᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲗᲑᲘᲚᲔᲚᲘ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲔᲡ ᲚᲔᲥᲡᲘ ᲗᲑᲘᲚᲔᲚᲘ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚᲡ, ᲐᲜᲣ ᲛᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡᲔᲪ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲚᲔᲥᲡᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲯᲣ-ᲚᲐᲓᲔᲕᲔ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲗᲑᲘᲚᲔᲚᲐᲓ. ᲕᲒᲠᲜᲔᲑᲗ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲡ ᲛᲝᲙᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ. ᲠᲝᲛ ᲔᲚᲩᲐᲓ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ, ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘᲡᲐᲓ, ᲗᲑᲘᲚᲔᲚᲐᲓ. ᲛᲘᲕᲘᲩᲜᲘᲗ.

ᲠᲐ ᲛᲝᲣᲡᲛᲘᲜᲐ ᲞᲐᲞᲛᲐ ᲔᲚᲩᲔᲑᲡᲐ, ᲓᲘᲓᲐᲗ ᲐᲥᲪ ᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲡᲔᲗᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ. ᲔᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲗᲐᲗ ᲛᲘᲣᲗᲮᲠᲐ. ᲠᲐᲪ ᲘᲛᲥᲛᲔᲓᲐ ᲛᲝᲜᲗᲐᲕᲐᲨᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲔ ᲮᲔᲛᲬᲘᲤᲔᲑᲔᲑᲡ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲯᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲔᲥᲪᲘᲐᲗ. ᲮᲝᲚᲝ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲣ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲨᲔᲘᲢᲧᲝᲑᲓᲔᲜ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ, ᲯᲔᲥᲕᲔᲚᲐᲓ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲐᲥᲪᲔᲕᲓᲔᲜ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲬᲧᲝᲑᲐᲡᲐᲪ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲜ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ, ᲘᲡ ᲔᲚᲩᲔᲑᲘ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲗᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲑᲣᲠᲒᲣᲜᲓᲘᲘᲡ ᲓᲣᲙᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲔᲒᲖᲐᲕᲜᲐ. -ᲔᲚᲩᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲘ. ᲘᲥ ᲬᲐᲡᲚᲐᲡ ᲓᲐᲡᲗᲐᲜᲮᲛᲓᲔᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲖᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲘ ᲕᲝᲡᲗᲮᲝᲕᲔᲡ ᲓᲐ ᲚᲣᲓᲝᲕᲘᲙᲔᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲙᲕᲐᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲣᲛᲔᲝᲠᲔᲡ. ᲞᲐᲞᲘᲪ ᲓᲐᲗᲐᲜᲮᲛᲓᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲚᲣᲓᲝᲕᲘᲙᲔᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲐᲓ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐᲡ ᲘᲛ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲚᲣᲓᲝᲕᲘᲙᲔ ᲕᲘᲓᲠᲔ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ. ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲐᲠᲪ ᲬᲔᲠᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲨᲘ ᲔᲮᲛᲐᲠᲐ: ᲐᲠᲪ ᲗᲐᲜ ᲔᲢᲐᲠᲘᲑᲘᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ. ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲨᲔᲜᲐᲮᲐ ᲘᲒᲘ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲞᲔᲢᲠᲔᲡᲘ ᲙᲐᲠᲓᲘᲜᲐᲚᲗᲐᲜ. ᲠᲐᲗᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲣᲚ ᲧᲝᲤᲘᲚᲧᲝ ᲘᲛ ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐ.

ᲔᲚᲩᲔᲑᲘ 1461 Წ. ᲠᲐ ᲛᲝᲙᲘᲓᲔᲜ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲗᲔᲗᲘᲡ. ᲬᲐᲠᲓᲒᲜᲔᲜ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲙᲐᲠᲚᲝ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ.

მაგრამ იგი ვერ დაიყოლიეს ოსმალების წინააღმდეგ საომრად, რადგან იქაც, ჩვენს მეფეებსავით, უთანხმობა ჰქონდათ ერთმანეთში და ოსმალეთის გაძლიერება ისე არ აფიქრებდათ, როგორც ჩვენი მხრის მთავრებს. საფრანგეთში საქართველოს ელჩთა ყოფის დროს მოკვდა კარლო მეშვიდე და გამეფდა მისი შვილი ლუდოვიკე მეთერთმეტე, რომლის დაგვირგვინებას ესენიც დაესწრნენ. ვერც ამ ახალის მეფისგან მოიპოვეს თანახმობა და ესრედ სულ ცარიელნი და დაღონებულნი უკანვე გამობრუნდნენ.

აქ ისიც უნდა დავუმატოთ, რომ, როდესაც საფრანგეთის მეფის წინაშე წარდგნენ ელჩები, ქართველებს ესე უწოდებდენ: „ნიკოლოზ, ორატორი დადი ალექსანდრეს შვილის გიორგის სპარსეთის მეფისა, ყოვლად გულმოდგინე საქმების აღსრულებაში; ფრიად განსწავლული ქუსუდამ, უუძლიერესი მეომარის ყვარყვარეს საქართველოს მთავრის ორატორი.“

(გასაგრძობია)

პასუხი იაკობ ზაქარიანსა

(წერილი რედაქციისა).

„მშაკის“ № 136-ს „სომეხთ კათოლიკეთ ეკლესიის გარეშემ“ ტიტულით დაწერილი სტატის მოკლე რამ პასუხი.

1) იაკობ ზაქარიანი მიჩივის მე ჩემს გასასვრელად „ცდილობს ლატინობის გავრცელებასაო“. გასაკიცხი ცილისწამებაა. 12 წელიწადი ჩემის სამსახურის თანამდებობაში ვყოფილვარ არტანუჯს, რომს, ბათუმს და ახალციხეს. დეე იმოწმონ მტერთა მოყვარე მეგობართა, თუ რამდენი პირი გამილათინებია, და მასთან ჩემს წერილების მასრულებლობაში მეტად ბეჯითად მოშურალე ვყოფილვარ თუ არა მამემულ დაველრებათა და მე ჩემ თავად რამ წესიერება შემიტანია.?

2) უნებურად აღიარებისაებრ ბ. ზაქარიანისა, მე დაჯილდოებული ნიჭიერს შემძლებელობითა და ნაშთთ ბიუროკრატიზმს ფორმებს შევდგომილვარ, დასასჯელი სიცრუეა, ყველასთან ცხადია ჩემი სიწრფელენი, მე როგორც სჯულის მსახურს ჩემს წმიდა ვალდებულად დამითვლია და კიდეც ვოული დაკაცა დავიფარო სხვათა-შორის სარწმუნოების პრინციპინ ულმერთოთა და უსჯულოთ ულოლიკოთა პრინციპების შესამუსვრელად.

3) ლატინთ კლერიკების მფლობელ პირებთან საკმაოდ კარგი დამოკიდულება მქონია, მე არ მეგონა თუ კაცობრივი ამხანაგობის კუთენილებით კავშირი გასაწყვეტი ყოფილა დამოკიდებულებ „თფრთ და უდაბნოში განშორება მართებდეს კაცსა. მაგისთვისიც წოდება უნდა ჰქონდეს! განა დანაშაულობა, პატივცემულნო წამკითხველნო მაღალ პატივცემულ პირებთან წერილებით მონაწილეობის ქონვა ტ ეგრეთი მწერლობითაგან ?ა სიბოროტე წარმომდგარა, შეუძლია მოწინააღმდეგეს მხოლოდ ფაქტებით მიჩვნოს.

4) ის ცდილობს შესვაროს სომეხთ კათოლიკეთ სასულიერობის უკეთესი ნაწილი რადგან ლატინები არ უყვარან. „ბიწიერი ცილისწამება, ეგრეთი საქმეები უსინდისო, ბრიყვი და უსწავლელი პირების საკუთრებანი არიან. მე ჩემი სინიდისი მაქვს, მე ჩემს თავს ნებას არ მივცემ რომ ვისმეს პატივს შევეხო განკიცხვითა. ეგ ბოროტ მომქმედი და უსჯულო კაცის საქმეა, სიტყვების დუღიყუშივით პირითგან გადმოსროლა მხნეობა არ არის და უმისოდ ფაქტსა და დამოკიცებისა ლაპარაკი გლისპობა და სიბრიყვე არის.

5) „დანიშნულია ბათუმის ზედამხედველ მღვდლად განმხდარვარ სარათოვის ეპისკოპოზის № 158 სამსახურის ქალალდის ძალითა, რომლით ნებას არ აძლევდა დროებითად ართვინის ნაწილში დარჩენილი ვიყავ ყოველად პატივცემული კათ. პატრიარხის ცხადი მიღებითა, რომლის შემდგომადაც № 1188 ტ 1189 რიცხვის მქონე სამსახურის ქალალდით გაშმძიებელი და ზედამხედველი გამხდარვარ მოულოდნელ დროსა. წამკითხველ შეუძლია ცნობის მიღება ნამდვილი ცენტრითგან.

6) მიწინაღმდეგე ამბის: „ერმან მიღლ უ. ტერ-აბრამიანის თანაგრძობითა... ერში მხურვალება გაახლდა გამოჩნდა უფრო ერთობა, უფრო თავდადებულობა, გარდაწყდა ბოლოს ხელი ახლეს საერო სასწავლებელის შენობას დაფუძნებას... მაგრამ აგერ უველას მოულოდნელად უ. ტერ-აბრამიანი მღვდმარე იყნ-

სის 7. წავიდა ბათუმითგან წინაწინ გაეცხადებლად ერისა. ახალციხეს. დასტოვა საზოგადოება ეპედამხედველო მღვდლად".

იაკობ ზაქარიან გულით უნდოდა ჩემი განკიცხვა. ლანძღვა დამიწყო, მაგრამ თავის ნების წინააღმდეგ ქება დიდება გამოვიდა! მოვიდეთ რაც შეეხება იმ სიტყვებს რომ ამბობს. -გაშორდა წავიდა ბათუმიოგან წინაწინ გაეცხადებლად ერისა." ეგ ხომ დამამცირებელი სიცრუეა არის. ივნისის 1 კვირა დღეს მზრუნველებს კრების მწვერნი კრებაში მიმიწვევია ჩვენური წირვის შემდგომვე და გავუცხადე მზრუნველი მწეკრია ჩემი წასვლა და წასვლის მიზეზიცა და იმ დღიდგან დაწყობილი ოთხშაბათის საღამოს 10 საათამდისარა ცოტა ერის სიმრავლე მოდიოდა და თანა მწუხარებას მიცხადებდნენ და გზას მილოცავდნენ მშვიდობით მრძანდეთოდეთო. ასეთი ცხადის ეეშმარიტების წინააღმდეგ როგორ შესაძლებელია ვ-მოსვლა და ცილის წამება კაცისა?

7) ამასთანავე ამხელს, რომ ის ლატინის ეპისკოპოსის ეპარქიის ხელდებული ყოფილა ამ ბოლო დროს, დაუშალა ეს ერსა და ასე უკანონოდ ასრულებდა ბათუმის ზედამხედველი მღვდელობის თანამდებობასა.

საზიზღარი სიჯაბნე, უკვე ზემოდ № 5. მოვიხსენიე თუ რა სახით და რომელი მიშვებითა მიმელო მე ეგ თანამდებობა, მით როცა ორი სასულიერო მთავრების მიშვებული ნებართვით მღვდელი ხელამხედველად დაინიშნოს ის კანონიერია თუ უკანონო. რომლისთვისა ეზრახავს მე იაკობ ზაქარიანი! არა თუ ამ ბოლო დროსა. არამედ, 1903, რიცხვითგან დაწყობილი წმინდა ტახტის მიცემული ბრძანებითა უმისოდ ჩემის მეცადინეობისა, ორთვინის ეპარხიითგან ტირასპოლის ეპარხიაში გარდმიყვანეს. რომელ საეპარხიოსაც ეკუთვნის 30, ოთასზედ მეტი სომეხთ „ათოლიკენი" და ეს ყველა ორთვინის ეპარხისათვისიც ცხადია. როცა ყოველ წლივ მივდიოდი ორთვინს ჰაეოის გამოსაცვლელად და მივდიოდი ისევ რუსეთში.

ამ ბოლო დროს მიწვეულ ვიქმნ საპატივის ყოველად სამღვდელო ეპისკოპოსისაგან. 767 ოცდაეს ქონე. სამსახურის წერილთა. ვანა ბრალიერობდაა სჯულიერი მეფლობელობის დამორჩილება? აქ ვაბოლოვებ ჩემს სიტყვას -უნებურის პასუხისას-. აღვსთქვამ აღარაოდეს პასუხს არ მიუსცემ ულოლიკო და საზიზღარ სტატიებსა. რომ საზიზღარი არის ჩემთვის დიდათ. მე ჩემის სინდისის წინაშე მართალი ვარ და უდანაშაულო! ბ. იაკობ ზაქარიანი. 12 წლის ჩემის მღვდელობის განმავლობაში. რაც ვყოფილვარ მხოლოდ ჩემი მართველობა ყოფილა ქადაგება სიყვარული და ერთობირობა, მიმეცადინია რომ სასარგებლო ყოფილიყავ ადგილობრივის ეკკლესიისა. სასწავლებლის წარმატებისა. ჩვენი ქანდაკების უმთავრესი ნივთები ყოფილარიან მეტი: და უნდიყვნენ რომ ვიყო სჯულის მოყვარე და ვვარისაც მოყვარე. მინდა ამ ორი დიების ერთბილის ერთხმოვანობითი შეერთებით და სვლა. მე ჩემს მთელ საქმეებში დარწმუნებული ვარ. რომ მე მრავლთ ნაირად ცარიელი სიტყვით და უბეჯიბისათვის გვარის მოყვარული არავარ. არამედ საქმითა და მეცადინეობითა. ამ ჩემს ნაოქვამთ ჩემს სამოწმებლად ნუ დასთვლათ. ამათზე შეუძლიან იმოწმონ არტანუჯის განათლების მოყვარულ ერთა. რომლებში ხუთი წლის სამსახურით დარჩენილს ბედნიერება მქონია. შეუძლიან იმოწმონ ბათუმის საყვარელ ერთა სადაც 10 თვეს დარჩენილვარ. არ დამცხრალვარ ქადაკება დარიგებისაგან ერის სასიკეთოდ. მიჩვენებია. მეცადინეობა ყოველად დიდის თავგანწირულობითა და ჩემის ხელეევნებითა, მავრამ რათმე დაფასების მაგიერ სათვ ქვეყანო აშკარად მიმაღია საყვედური. უსაფუძლო სამდურავი და ჩირქ შეცხებული ცილის წამება!

ამდენი რაც მოგახსენეთ ეეშმარიტების სიყვარულისთვის ვთქვი. ამას იქით სრულიად დავჩუმდები. intelligenti pauca. ამბობს ანდაზა ჩამხდომთ ამდენიც ეყოფათ.

ხარგის ეპარქიელი ეპარიბარმა ი.

ქ. ახალციხე.

მეხი ივ. მღ. გეარამაძე.

მოგონებანი გაბრიელ ეპისკოპოზედ

—

სტატიებისა გამო რომელნიც ღიბეჭდნენ „ჯვარის ვაზის“ №-ებ. 10, 11, 12, 13, 14.

წაიკითხეთ რა, ზემოაღნიშნულნი სტატიები ყოველ კვირეულ საეკლესიო -ჯვარის ვაზის- გაზეთში, ჩვენ განვიზრახეთ შესავსებელათ და გამოსარკვეულათ პიროვნებისა, აწ განსვენებულის იმერეთის მღვდელ-მთავრის ეპისკოპოსის გაბრიელისა, აღვნიშნოთ ის გარემოებანი და ფაქტები რომელნიც რამთენიმე სხივს სცემენ მის პიროვნებასა, იმ მოსაზრებით, რომ იქმნება ოდესმე ისტორიკოსმა, ანუ გაბრიელ ეპისკოპოზის ცხოვრების შემდეგენელმა იხელმძღვანელოს ამა თუ იმ შენიშვნებითა.

გაბრიელ ეპისკოპოზი გარდაიცვალა 26 იანვარს, ხოლო დაკრძალვა მისი მოხდა 10 მარტსა. ამნაირად ზეზე იყო ორმოცდა ოთხი დღე, და ამ ხნის განმავლობაში აუარებელი ხალხი მიდიოდა ყველა იმერეთის კუთხიდგან მისი ნაშთის სამთხეველად და საამბორებლად, ამ ხნის განმავლობაში არა ვითარი ხელოვნება არ მიჰკარებია იმის გვამს და უსუნოდ შეურყეველი დარჩა, ხალხს მასთან მიჰყავდათ მძიმე ავათმყოფები, ემთხვევოდნენ ბ განკურნებას იღებდნენო.. ესე ამბობს ხალხი, ესა სწამს ხალხს.. სწამს არა მარტო მისთვის, რომ იგონებს ამ სასწაულ მოქმედებას, რომ განსვენებულმა თავის მღვდელ-მთავრობის და მოღვაწეობის დროს თავის მტკიცე მოქმედებით და მოძღვრებით ხალხის სულგულში გაატარა იმისთანა ღრმა კვალი რელიგიონური ბ წმინდა ზნეობითი ცხოვრებისა, გაამზნევა ხალხი შრომისა და მოქმედებისთვის რომ ხალხმა იფიქრა და გადასწყვიტა — ეს ღვთაებრივი მოვლენა უნდა იყოსო და მისმა სიკედილმა ეს თვალ საჩინოდ დაავვირგვინა, მდაბიო ხალხი ნამდვილის რელიგიონურის მონწიებით უყურებდა ეპისკოპოზს გაბრიელს და მისს ნაშთს. ხალხმა თავის უბრალო, უბრგვინო მოწმობა გრძნობაში წმიდად მიიღო და წმინდა დაწყებითა რიცხვში ჩარიცხა. დაეკანონებდნენ ამას თუ არა, ხალხისთვის სულ ერთი იყო. მე თვით არ დავსწრებივარ გაბრიელ ეპისკოპოზის დასაფლავებას. მაგრამ იმ დროს ძრიელ მეინტერესებოდა გამეგო, თუ რა ხდებოდა იმ დროს ქუთაისს, სადაც საკრებულო ტაძარში ესვენა ნაშთი გაბრიელ ეპისკოპოზისა და სადაც შეყრილ იყვნენ ხალხი შავისზღვიდგან მოკიდებული კასპის ზღვამდის, და უცხოელნიც. ამიტომ მე მიწერ-მოწერა გქონდა განსვენებულ ხონისსამოსწავლო მასწავლებელთან, ძრიელ განვითარებულთან ლიტერატურაში უფ. უტურგაულთან, რომელსაც ვთხოვდი, რომ დაწკრილებით მოეწერა ჩემთან თუ რა ხდებოდა იმ დროს ქუთაისს შესახებ გაბრიელ ეპისკოპოზის დასაფლავებისა ის თუ დიდის სიამოვნებით აკმაყოფილებდა ჩემს სურვილსა. აი რას მწერდა ის სხვათა შორის: -მე და N ვიყავით ქუთაისში ეპისკოპოზის დასაფლავებაზედ, 9 მარტს შაბათს, როგორც გავათავეთ გაკვეთილები ხონის სამასწავლობლ სემინარიაში, ჩავსხედით ფაეტონში და გავსწიეთ. (ხონიდგან, არდგან უფ. უტურგაური, როგორც მოვიხსენიე. ხონში მსახურებდა.) ოთხს საათზედ ჩავედით, თუმცა ორიოდე კაი ნაკბი სახლობა გვყავს მაგრამ ჩვენ არა დროს არ შევაწუხებთ ხოლმე, ყოველთვის სასტუმროში ვბინავდებით, როდესაც გვიხდება ქუთაისს წასვლა. ამ შემთხვევაშიაც მეფაეტონეს ვუთხარით წასულიყო სასტუმროში. ქუთაისში ხუთი სასტუმროა. ხუთშივე მივედით, მაგრამ ვერსად ნომერი თავისუფალი ვერ ვიშოვნეთ. ზოგიერთი ნომერი დაკერილი ყოფილა ორი სამი კვირის წინ. N ნომერი, რაშიაც წინათ მანეთს ვაძლევდით სამი ოთახი ოთხი მანეთი გამხდარა, ჩვენ მეტის მიმცემიც ვიყავით, თუ კი სადმე გვეშოვნა. ერთ სასტუმროში გვითხრეს ალაგი არისო, ავედი, შემიყვანეს: შემეიჯარადრე მდგარა: საძაგელი, ტალახიანი -ჩვენ დაგიცდით, სხვაგან გადავალთ ხათრს გაგიწევთო, მხოლოდ **რვა** მანეთს გამოვართმევთ ღამეშიო-. იქ დგომა შეუძლებელი იყო და ამიტომ ისევ წავედით ნაცნობებთ[illegible] პატარა შევისვენეთ და ის მოინდომა — [illegible] დით საყდარში, ეპისკოპოზის გვამს [illegible] ვემთხვიოთ. საძაგელი ამინდი იყო, ძრ[illegible] ნელი სატ[illegible] ვაი ტალახი. ზემოდან [illegible] უფაეტონოდ კაცი გარეთ [illegible] [illegible] პარეთ ფაეტონი და წავედით [illegible] (ცისფერი) ტაძარში, [illegible]

არამც თუ ეკლესია, ყოველი მისი კარმიდამო ხალხით სავსე იყო. ხალხს ეკმოდამ აწვიმდა, — ნაბდებში, ყაბალახებში, ქოლგიანი და ისე თავშიშველები აუარებელი ხალხი ეხვია კეკლესიას, იდგა მოედანზეც, საიდგან ტევა არ იყო; ზოგს გული მისდიოდა და გარეთ გამოჰყავდათ: კარებში პოლიციელები იდგნენ და უშვებდნენ მარტო „ჩინოვანს“ და რიგიანათ ჩაცმულს, არისტოკრატიას, ქალს და ვაჟს — ეკლესიაში: მდაბიო ხალხს კი გარეთ ელოდებოდნენ. ბევრის ტანჯვით მე დ ის შევძვერით ეკლესიაში; გვერდები კი რიგიანათ მოგვიბეგვს და ახალი ძვირად ნაყიდი შლიაპა ისე გამსრისეს, რომ სანახავი და დასახურავი აღარ არის.

ფ. ფ.

(გასაგრძობია).

13 ივლისი, მშაკი, № 150. 1906 წ.

—:—

ახსნა სომეხთ კათოლიკეთ საზოგადოებას

წავიკითხე „მშაკის“ № 144 მ. გ. ნ. ერთს ზედ „საპასუხო“ წარწერით სტატია. მე ვერ წარმოვიდგენდი თუ, მ. გ. ნ. ტერ სარქის ვარდაპეტის ტერ-აბრამიანის წინაღმდეგ ქონებული საკუთარი მტრობა იმ დასჯამდის მიაწევდა, ნებას მისცემდა დაეწერა ერთ წყება უშნო უკადრისობანი ცხადად სომეხ-კათოლიკეთ სულ-გულის ასაშღვრეველად!

როცა მან პირველად „მშაკში“ გამოინავარდა ჩემზედ, ეცადა შეცთომილებად ვამოეყვანა ჩემი გამოცემული ერთი ცნობა, მე გამიკვირდა, რომ ჩემი მმართვის მაგიერ მისაღებლად მისი განმარტებისა, დაიცვა ჩემთან ერთგულებრივი დამოკიდულობა, რომლის ორგულობას მხოლოდ ახლა ვხვდები. ერთს და იმავე დროს გაზეთს მიჰმართა ჩემს წინააღმდეგ, იმ ჯერად შევიბრალე მე ის არ მივეცი პასუხი აშკარად გავუგონე ერთს საზოგადო მეგობრის რჩევასა. და მე მას პირად მივეცი განმარტება. მაგრამ მე როგორც ვხედავ, მან ჩემი სიჩუმე სხვა ფერ ახსნა. მით მე ამ ჯერად აღარ. არ შეგიძლია დაჩუმება და ძალდეტანებული ვარ თვითოეულად უნდა ავხსნა, ვნახოთ ვის რას დაეღვეოლი ნიღაბ ჩაშოკუ-ლი და ვინ არის ცხადი საქმეების ეგრედ საქვეყნოდ ამრევ-დამრევი. მარტო მხოლოდ თავისი საკუთარი ფინანსობის ამოსაყრელად!

ვიწყოთ განხილვა მ. გ. ნ. პასუხისა თვითოეულად.

მ. გ. ნ. ამბობს „სარათოვის ეპისკოპოსის გლახა ჩამგონებელი და შეკვიზგიზებული არის ტერ სარქის ტერ-აბრამიანი. რომ სარეხანიანის ხელმძღვანელებითა მოუყარა თავი თემობას საჯაროდ, მისთვის რომ გაეგებინა თემებისათვის საჯაროდ, რომ ამ უკაასკნელად განაძია მიხითარიანების ჩარევა. რათა უეჭველად შეერთებულ იყვნენ ტერ-სარქისის არჩევაზედა“..

როცა მ. გ. ნ. ერთი ფაქტი არ მოაქვს. როგორც თუ ტერ-სარქისი იყოს შეკვიზგიზებული და „გლახა ჩამგონებელი“ სიმართლე გვაქვს ჩვენ დიდის ეჭვნეულობის თვალით შევხედოთ მის სიტყვასა, ამიტომ რომ ვიცით მამა გაბრიელ ნაჰაპეტიანის მტრული დამოკიდულობა ტერ-სარქისთანა. მე დავტოვ უყურადღებოდ ამ წერტილს და შეუდგები განმარტება მივცე საკითხს ამ საგნის მიხედვითა, რომ მე შემეხება. სომეხთ-კათოლიკეთ თავ მოყრა შეკრების საკითხზედა ტერ-აბრამიანს სრულიად არავითარი მონაწილეობა არ ჰქონია. არც მე მასთან ამ საგანზე არ მქონია არავითარი მიწერ-მოწერა. მით მ. გ. ნ. მოყვანილი ცნობა სრულიად უმართლოა!

შემთხვევა მოხდენილია შემდეგის სახით. გაველილ წელს 4 მაისს. ბ. ი. გურგენიანის მიწვეულნი შევიყარენით მის სახლში მ. დიონისე. მ. კალატოზიანი. მ. გაბრიელ ნახაპეტიანი. იაკობ და პავლე ძმანი გურგენოვები. პავლე ყარა მურზა და მე. ჩვენ იქ ვრცელის სჯა რჩევითა მიუცილებლად გარდავსწყვიტეთ გვესარგებლა ახლად მოსული ნამესტნიკის-კეთილის განკარგულებითა წარგვედგინა მასთან ერთი თხოვნა კავკასიის სომეხთ-კათოლიკეთ საეკლესიო და სამასწავლებო საქმეების თაობაზე. რათა ამ თხოვნას საზოგადო საერთ თანხმობა ჰქონდა, ვარჩიეთ ერთიან კრება მოგვეწვია თბილისს. საჯარო მოწვევის ვბრძანებლობა ახალციხის მაზრისა მიენდო მ. კალატოზიანს, ალექსანდრეპოლისა და ლორის მაზ-

დო მ. გ. ნ. ნახაპეტიანსა. ხოლო ართვინის თემობისთვის კი მე. თხოვნის შავის შედგენა თავს ვიდეთ ბ. Ხ. ყარამურზამ და მე. მეორე დღესვე შევუდეგით საქმესა. მე ამის შესახებ წრფელ მადლობას ვუცხადებ ართვინის თემობის სომეხთ-კათოლიკეთა, ერთ კათოლიკეთა, რომ ჩემს ერთს საცხადო ტელეგრამს ენდვნენ და კრება მოახდინეს შეუყოვნებლად ერობისა აირჩიეს და დანიშნულ დღეს 22 მაისს გამოაგზავნეს საჯაროდ ყოველ მხრითგან თბილისს. მერე იმ დროს, როცა მეორე მხრებითგან არა ვინ არ მოსულიყო, შემდგომ მარტო. ბ. Ხ. ბებურიანი მოვიდა ალექსანდრეპოლიდგან კანონიერი საზოგადო რჩევითა. მაშასადამე როგორ ამახინჯებს. მ. გ. ნ. ასეთის ცხადს შემთხვევას. რაზედაც ამდენი ცოცხალი მოწმები არიან. შეკრებილობის აზრი ტერ-სარქისის მომხრეობის დაჭერა იყო და არც მიხითარიანების ჩარევის უარყოფა იყო. ჩვენი შეღგენილის თხოვნას უფრო საზოგადო მნიშვნელობა ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, მის მრავალ რიცხოვან წერტილთაგან მხოლოდ ერთი შეეხებოდა საოთემო მმართველობის არჩევის საკითხსა. -კრება, ამბობს მ. გ. ნ. რომ მისმინეს ჩემი ᲯᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ სიტყვების თავი და ბოლო იმ წამსვე თვალიდგან გამოიგდეს ტერ-სარქისის მომხრობა ᲓᲐ ერთიან დასთანხმდნენ ტერ-პოლოს ნაპეტიანის არჩევაზედა დროებით მმართველად-!

სრულიად უმართლო მ. Გ. ნ. ეს! უადგილად ერობისა აირჩიეს და დანიშნულ დღეს 22 მაისს გამოაგზავნეს საჯაროდ ყოველ მხრითგან თბილისს. მერე იმ დროს, როცა მეორე მხრებითგან არა ვინ არ მოსულიყო, შემდგომ მარტო. ბ. Ხ. ბებურიანი მოვიდა ალექსანდრეპოლიდგან კანონიერი საზოგადო რჩევითა. მაშასადამე როგორ ამახინჯებს. მ. გ. ნ. ასეთის ცხადს შემთხვევას. რაზედაც ამდენი ცოცხალი მოწმები არიან. შეკრებილობის აზრი ტერ-სარქისის მომხრეობის დაჭერა იყო და არც მიხითარიანების ჩარევის უარყოფა იყო. ჩვენი შეღგენილის თხოვნას უფრო საზოგადო მნიშვნელობა ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, მის მრავალ რიცხოვან

არდანუჯის ეკლესიის ნაშთი (სამხრეთით ფოტოგრაფია ახლანოვისა).

ᲚᲝᲚᲝ თავის მქებლობა ძალდატანებულ მყოფს მე განვაცხადო. რომ ტერ-პოლოს ნახაპეტიანის არჩევას ადგილი მისცა ერთმან მთავროგის სამსახურის კაცის შეგონებამ. ან უფრო ნამიდვალად ᲮᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕᲛᲐᲜ შეეწროვების ფესვმან. რადგან ის მსახური ᲰᲠᲘᲚᲓᲔᲑᲐ და თუ პეტიციის შემდგენელთ და თუ საქმის წარმოებას დროით წარმატებას მისცემს. თუ ტერ-პოლოსსი ამოირჩიოთო და ეგრეც იქმნა. ეს გარემოება იციან კრებაში ყოველ დამსწრეთ ჩაჯაროდ. ამის გარდა. კრების პირველ სხდომაშივე ართვინის თემის წარმომადგენელთა სხვა მოთხოვნილება წარმოაცვინეს — და ᲗᲐᲠᲘᲦ

ლი მოთხოვნილება — ორთვინის საეპისკოპოზო კათედრის სიმართლის მოთხოვნილებისაგან რომელსაც დიდი წინააღმდეგობა დაუწყო მ. გ. ნ. ანღვრეულობა მე დავაწყნარე, ურჩიეთ სახეში გვქონოდა კავკასიის თემობის ერთი საზოგადო მმართველობა.

„ჩვენი პეტიციის მიცემითაგან ძლივ ორი თვე გასულიყოო მოგვიყვება. მ. გ. ნ. რომ ახალციხის სასულიერო მართველობამ და ოთხთა საღვაანოთა მხილების ქაღალდი მიიღეს საარატოვის ეპისკოპოსისაგან, რომლითაც ჰკიცხემდა საჯაროდ ასრულებულ საქმესა. სულიერი მმართველობა და დეკანაბი დაჩუმდნენ, ტ ჩუმად ისევე ჩვენი ბიუროცა.. უფრო საბგებლად დავთვალეთ გვეცნობებინა პროფაგანდის თავჯდომირისათვის.. მაგრამ მე მგონია რომ.ბ. სარუხანი ურგულო არ იყო თავის მიცემულ რჩევაში-...

კვალად უმართლობა. კვალად სიმახინჯე. სარათოვის ეპისკოპოსის იმ მხილების გამო პირველად შეევიტყე მე. თუ არ ვცდები, მშაკში დაბეჭდილი ამბითგან და დაუყოვნებლად ვთხოვე მ. გაბრიელ ნახაპეტიანსა, რომ მას მიეწერა ახალციხეს ან რომელიმე დეკანისათვის მოეტანინებინა ეპისკოპოსის იმ წერილების ერთი კოპიო. მე წინადადებას ვაძლევდი მაშინვე უნდა მეჩიელა რომ მას ეპისკოსოზის წინაღმდეგ და ერთს და იმავე დროს მიმეწერა სომეხთ-კათოლიკეთ კათოლიკოსთან, რა ნას ქონებული სამსახურის წარმომადეგენელისათვის, რომ მას დაეცვა ჩვენი საჩივარი, და ეს ჩემი წინადადება მხოლოდ ჯეროვანი საჩივრის სახისა იყო: რადგან ეპისკოპოსის მოქმედების წინააღმდგ შეიძლებოდა ჩივილი მისგან უმაღლეს სულიერ მფლობელობასათან. მეტადრე რომ ცოტა წინად მე რომში საკერძოდ ნახული მყავდა პროპაგანდის კრების თავჯდომარე და თუ კარდინალი მეერი დელ ვალიასთან ერთად და იმედი მქონდა გამარჯვებისა. რათა რომ ჩვენი საჩივარი საფუძვლიანი ყოფილიყო. უეჭველად უნდა გვქონოდა ლატინის ეპისკოპოსის წერილის კოპიო გვცოდნოდა უნდა მისი საუფუძვლიანი თქმულება. განა შესაძლები იყო დაგვეფუძნა უბრალო ვიზეოის ამბავსა და ან ხელობად ვიღაცეულს ცნობასა ზედა? არ მიმხედველმან ჩემი რამდენიმენჯერ განმეორებულის თხოვნებისა მ. გ. ნახაპეტიანმა ვერ შეიძლო, ანუ არ ინება გადმოცემა ჩემთვის იმ წერილის კოპიისა: სჩანს იმ მიზეზით, რომ იმ წერილში ეპისკოპოს სხვათა შორის სამდურავი გამოუცხადებელი იყო ტერ პოლოსზედა. ე. ი. მ. ვ. ნ. შიძიუ მომხრეობის გამოისად. რომ მას არ უნდოდა გამოცხადებულიყო.. ხოლო ახლა ის აშბობს, ჩემი წარდგენილი საჩივარის ფორმა გამოუსადეგარი იყო. თვითონ კი არც მაშინ თქვა და არც რა ახლა ამბობს თუ რა სახით უნდა გვეჩივლა, და მის მაგიერ a posteriori ნებას აძლევს თავის თავს იძევა იკვლიოს ერთი რამ, რასაც საქმეში ადგილი არ ჰქონია. ის თავის კამოხატულებიდ წარმოდგენილებაში იქამდის წინწასულია, რომ ვიდრე თავისუფლებრივად წინათვე მოსთხრობს თუ ის საჩივრის წერილი როგორც თუ რაღაც რამ „უკულმართი გზით“ (რომელია ნეტარ ვიცოდე ის „უკულმართი გზა“ უნდა მოქცეულ იყო. და მე როგორ უნდა გარჯილვიყა.... არ ვიცი რამდენად გამკვეთნი არიან მისი „უეკველი“ წინა თქმულებანი ლატინის ეპისკოპოსის და ტერ-სარქის ვარდაპეტ! ყოფის შესახებ. გარნა ჩემის შეხედულებით შეშიძლიან გაბედულად გავაცხადო. რომ უფრო უსაფუძვლო და უფრო სნეული გამოხატულობაა. ძნელია წინათვე დანახვა...

ხარუხან.

მეხი კ. გვარაბაძე.

ქ. ახალციხე.

(გასაგრძელი)

ჯავახეთი

(შემდეგი *)

როდესაც მივლენ კარზედ ყველანი, დამხდურნი სამეფოს ცხენიდან ჩამოსმენ. მარჯვნივ ძმადე. და მარცხნივ მეჯვარე. მხარს ჰიდგმულნი, მეფე რა მიადგება კარებს შესასვლელად. კარს დაუხვენ: გაულებენ ზიგნიდგან. მხოლოდ მაშინ. როდესაც მეჯვარე საჩუქარს გაიღებს. როცა შედიან. კარებში სასიდედრონი შეკრთ ან ჭალეთ შეეგებებიან სანთ-

*) ს. „ჯვარი ვაზისა“ № 15.

ლებით გაჩაღებულნი და ესრედ შეუძღვებიან საქორწილო. დარბაზში და დაიყენებენ იქ, სადაც. მღვდლისთვინ გამზადებული აქვთ დასაჯდომი: შეევლენ წვეულნიც და მღვდელიც სამეფოს პირის ასახსნელად ქასსით ღვინოს მიარიმეენ. რაშიაც ოქროს ბეჭედი, ან ვერცხლის ნივთი იენება ჩაგდებული: მეფეის მაგიერ-დ შეჯვარე ილოცება:

-დიდება ღმერთსა, მოწყალე ერთსა!-ღმერთო, შენ სწყალობდე თემსა ქვეყანასა და მათი წყალობით ჩვენცა. აქ მყოფნი კარგათ გვიმყოფნე და მათი სიმართლით უშველე მტერთა... გაუმარჯვე ქრისტიან ხელმწიფეთა უფალმა გააძლიეროს + (თუ კათოლიკენი არიან დაამატებენ:). + ჩვენი კათოლიკე დედა ეკკლესია. ამ ოჯახზედა ჩვენი ფეხი მძიმე იყოს და ამითი ჩვენზედა... ჩვენი გვირგვინი უცვალებელი ჰყოს.. ერთს მკლავზედ და სასთუმალზე დააბეროსთ.. როგორც ამ თავით ვხარობთ, ისე იმ თავით გვახაროს ყრმა-შვილთა; ვისაც ჩვენი ბედნიერება გიხარისთ; ძმა გყავთ ძმის ბედნიერებას შეგასწროსთ, და გყავთ დისას. და ქალი გყავთ ქალისას. მამა მღვდლის ლოცვა-კურთხევა შეგვეწიოს, რომელმანც ცა დაამდაბლა და დედა-მიწა აამაღლა... მან დაგვიცვას ყოველის განსაცდელისაგან... ლხნი, ღვინის სმა და თქვენი სიკეთე...

ამინ!.. იძახიან ყველანი. დამლოცველი გადასცემს სამეფოს ქასას. ისიც დალევს ღვინოს: საჩუქარს პირში შეინახავს: მერმე გამოიღებს, ის საჩუქარი მისია.

ამის შემდეგ გახსნიან ნიშნის ბოლჩას, რაშიაც სადედოფლო ტანსაცმელი აწყვია, აკურთხებს მღვდელი და ისე შეუტანებენ სადედოფლოს ჩასაცვამათ.

სამშობლო ჩააცმევს ტანსაცმელს სადედოფლოსა. რაშიაც მეჯვარეს გასამჯელოს მოსთხოვენ. მეჯვრეევ აკმაყოფილებს საჩუქრით კითხვა წერვის, ან ჭრა-კერვის მასწავლებელ ქალთაც, და შემდეგ ჩააბარებენ სამეფოსა. როდესაც სასძლოს აბარებენ სამეფოს მარჯვენა ფეხს მიჭერავს სამეფო, სადედოფლოს ფეხზედ, რაიცა მორჩილების მომასწავებელია. დედოფალი მეფეს უნდა ნიადაგ ემორჩილებოდეს. ამ დროს, წვერ-თეთრნი და საზოგადოდ ოჯახის უფროსნი ულოცვენ კეთილ მეუღლეობასა; მამა აბრამისით, ისაკისით და იაკობისით-ებრ იკურთხენით ღვთისაგანო, როგორც ყოფა ცხოვრებითა, შვილებითა და მემკვიდრეობითაო... და აგრე მიჰყავთ ეკკლესიაზედ ჯვრის დასაწერათ. რა ჯვარს დასწერენ, სახლისკენ გამობრუნდებიან; იმღერენ:

მაყრული სიმღერა:

ხელმწიფეე, შენსა გვირგვინსა, ახა-ჰე-ჰე-ჰე
ხვთისაგან ჯვარი სწერია...
ვერ უკადრნია ხელმწიფეს...
ყმაწვილი და სცხვენია..
თქვენი გამარჯვებისა იყოს, ჯარო, დარბაისელნო

—

შემდეგ იმღერენ:

ერანითგან თურას ჩაველ, ახა-ჰე...
შენთვის მეწოდა მე გული,
ზეციერმან დაგიმკვიდროთ,
ერთმანერთის სიყვარული... ახა-ჰე...

—

სიძისა შავგვრემანობა, სიდედრს უმძიმდა. ნანობდა,
ქალი ცხენს შესვეს, მიჰყავდათ, რალას უშველის ნანობდა..

—

პატარძეულის ცხენსა, გამოუთხრიან ძირსაო,
გამოიყვანენ ლამაზსა, ცრემლით დაბანენ პირსაო!

—

აჰკიდეს ორსა აქლემსა და ცხენსა უნაგრიანსა,
აჰკიდეს, ორნივ ზედ შესხდნენ სიძე და ცოლის ძმანია!

—

რა მიახლოვდებიან. იმღერიან:
მოდიან ართ, მოგვიხარიან. მოგვეყავს წითელი ჰეპელა:
ქალი, სძალი მშვენიერი პირ-ვარდი, ჰალვა კეკელა..

შიგნიდგან ბანს მისცემენ:
ვისაც ველოდით მოვიდნენ,

კვლავაც კიხაროთ გულითა,
ციურს ანგელოზსა ჰგავს
მისი გზა-კვალი მკულითა, ახა-ჰე-ჰე...

სახლში შესვლისათანავე აქაც, მეფიანთი შაქრიელ-ალვილ შეეგებებიან სანთლებით გაჩაღებულნი და ასე შეიყვანებენ საქორწილო დარბაზში და შესმენ აჯილაკზედ*. სადაც შვილიოდე წლის ვაჟი ხელებ უკან დაწყობილი, პირჩამხობილი წევს და „ვაჟი შვილი", გაიძახის, რომელსაც მეჯვრე დასაჩუქრამს, ადგება და გაუმთავისუფლებს გვირგვინ-ნოსანებს-აჯილაკსა შესასმელად.

რა შედგებიან აჯილაკზედ, იმღერიან:

ნეტავი ნეფის დედ-მამას,
გვრიტნი უსხედან კერასა:
თემ ქვეყანა დახარიან,
ულოცავენ კარგ-ბედს, წერასა, ახა-ჰე-ჰე..

გაიშლება ნადიმი. საჩოხე შალს, გძლივ გადენენ ორ სამ მხარეს, წვეულნი აქეთ იქიდან მოუსხდებიან. შემოაქვთ ცხრილებით და ტაბაკებით: პური და უხვათ აფენენ სუფრაზედ, შემოდის შეფხვნილი ყველი და უხროვებენ მუჭებით თვითეულით სტუმრის წინ. შემოდის ჯამებით წვნიანი ხორცი და ორ-სამს და ან მეტს თითო უშველებელ ჯამს უდგმენ, რაშიაც სამოთხნი ლუკმით ურეკენ და მიირთმევენ. უოველ უწინარეს კი ოტკა ჩამორიგდება, დასალოცათ, რასაც სუფრის კურთხევაც მოჰყვება: აკურთხებს მღვდელი სუფრას, დაიწერენ პირჯვარს წვეულნი და მამაოჩვენოს მიპყვებიან მოძღვარს. შემდეგ კი გასტეხენ პურს და შეუგებიან ჭამას, რასაც მალე ლხინი მოჰყვება-ოტკა რამდენიმეჯერ განმეორდება ღვინის სტაქნებით, შემდეგ კი ღვინო მოჰყვება, იქ სადაც ვენახებია, ხოლო დანარჩენ ადგილებში კი ისევ ოტკითვე განაგრძობენ ღვინის სტექნებით სმასა. სუფრის დაწყებისათანავე მამამთილ დედამთილი დედოფალს პირის ასახსნელს აჩუქებენ რამე ნივთსა, რომელსაც ქასსაში ჭყრიან და ასმენ ღვინოს. მეჯვრე აიღებს ქასსით ღვინოს და ნეფის დედოფლის მაგიერ ილოცება:

*) აჯილაკი, ნეფე დედოფლის ბალიშია, რაზედ იდგეპიან ფეხზედ და სიჭირეებზე იქვე ლაჯღვებიან.

ნეფე ილოცება, — იძახის საჯაროთ...
ღმერთმა დალოცოს. მოუგებენ წვეულნი.

ნეფე ილოცება:
- ღმერთმა დალოცოს!..
ნეფე ილოცება:
- ღმერთმა დალოცოს...

შემდეგ გადასცემს ქასსას მეფეს, რომელიც შესვამს, ქასსაში პირვანდულებ -პირის ასახსნელი- საჩუქარი ნივთები იქნება. მხოლოდ დედოფლისთვინ რასაც პირშა შეინახამს, შემდეგ გამოიღებს, მეფე. ის დედოფლის საკუთრება იქნება. დედოფლის მაგიერ კი დადე შესვამს ქასსით ღვინოს (დადე ჩუმათ ილოცება ფუსფუსით).

ამ დროს დაიწყება-სიმღერა:

შენ, ბედნიერო, გულის ხმიერო,
მზემან, მზემან ვზემან...
თვით მეცნიერო. მეფევ ძრიელო!...
განახლებულო, განათლებულო მზ..
მიუთხრობელო. წრფელ სახიერო...
გალაღებულო, გალღობულო. მზ!..
კვლავ გოლიათო. გულ-ლმობიერო!..
შემდეგ ქების ხმას შეუდგებიან:
თამარ წყნარი. შესაწუნარი. ხმანარნარი, პირმკინარი!..
მზე მკინარი: საჩინარი, წყნარი, ქნარი,
ჰომდინარი.
მისთვის ქნარი,-რა არის ქნარი?-მისით
მთქნარი, ეჩინარი.
ვარდშამბნარი, შაბმალნარი, ღაწვ-ეწყაზარი, შუქმფინარი.,

რაც შეძლება მექორწილენი მარჯვეთ ასხმენ და აწვდიან ქასსა, ჯამებით. ან კათხებით ღვინოს, წვეულთა, რომელნიც ერთი მეორესთან მიდიან სადღეგძელოთ და სმენ., სიმღერებიც ჩაღდება თანდათან, რაც მეტი სადღეგრძელოები ისმება.

ნეტა რა არის, მისთანა ამამავალი
მზისთანა,
საზდელათ მჭადი, ლობიო, სურნელი
მარილისთანა.
სასმელათ ღვინო, საგრილად
რიონის მდინარისთანა!.

ქუთათელის ტაძრისთანა
და გელათის საღდრისთანა;
გალმა-გამოღმა ქალაქი,
ქუთაის მოედნისთანა;
წყალში რომ ფეხი უდგია,
იმ ოქროს ჩარდახისთანა;
დედამ რომ შვილი გაზარდოს
მეფე სოლომონისთანა;
თვალთა და წარბათ ლამაზი
მარიამ დედოფლისთანა...

შუა სუფრა არ იქნება კიდევ რომ დედოფლიანთგინ შემოდის სუფრაზედ ძღვენი ჭაშნიკითურთ; რასაც დიდი ამბავით გაუნაწილებენ მომლოდინთ და უმეტეს ჭაშნიკ ღვინოსა. ამ გვარათვე აქედანაც დედოფლიანთსა მიდის სამაგიერო ძღვენი ჭაშნიკითურთ (დოქით ღვინოს).

როგორც ზემოთ, ისე განმეორებულის სიმღერებით ათავებენ ნადიმსა, საღთიმშობლო სადღეგრძელოებით და მიცვალებულთა მოხსენებით.

ნეფე დედოფალს ხშირთა ეკლესიაში ხდის მღვდელი გვირგვინსა და ისევ დაადგმენ და თავვირგვინიანი მიჰყავთ სახლში ნეფე დედოფალი; როდესაც სურთ- მაშინ თვითონაც მოხდიან მარა ზოგჯერ — სახლშიაც ხდის მღვდელი ჯვრი წერი დღეს თუ არ მოუხდა მღვდელს გვირგვინი, მეორე დღეს, დილით წაიყვანს თავგვირგვინიანით წვეულებითურთ საყდარში, და წირვაზე მოხდის. როდესაც გამოვლენ, კარში საყდრიდან, დაბმენ მაყრები ფერხულსა, იკვრის შუაში ჯიმუნი და ჰყვებიან მათ მოთამაშენი. ხან სიმღერაზე შეცელიან ფერხულსა და ასე დიდი ამბავით ბრუნდებიან საქორწილო დარბაზში. გზაში მეფე დედოფალთან მიჰყავთ მეზობლებს ქათმები და მტრედები უფრენენ და მეფეც ხანჯალ, ან ხმალამღებული სწყვეტავს მარჯვედ შინაურ ფრინველსა; თითქმის ოცამდის მოუგროვდება სახლში მოსვლამდის. სახში რომ შედიან მაყრები მღერიან:

ხელმწიფეს უნადირნია
მშვილდ ისრით ხმალი უკრია;
მოუკლავს ხოხობი.
და ირემ-მშველი, ნუკრია...

თქვენი გამარჯვებისა ივონ ჯარო დარბაისულო?

ზოგნი ასა მღერიან
ხელმწიფეს უნადირნია,
არსიანის მთაზედაო,
მოუკლსვს ხარი, ირემ
გარდუკიდამს მხარზედო,

მალე გაშლიან სუფრას, დასხდებიან წვეულნი და შეექცევიან, როგორც წინადღით.... მღვდელს რადგანაც დიდი გავლენა აქვს ხალხზე, ამიტომ იშვიათი შემთხვევაა, რომ უწესოება რამე მოხდეს აქ ლხინში.

ამ დღეს წვეულთა თავიანთი სახლებიდან მოაქვთ*) ხონჩები ძღვენი, ე. ი. **) მოსაკინხით. რასაც უხვადრიელ ერთ დააწყობენ ყოველივე მტანილ საწუთროს-ნამცხერებს, ქათმებს, ოტკა ღვინოს და მისთანაობას და შეექცევიან ლხინით... შუაჭამაში დაიძახებენ***) „სანიჭარს“. დამძახებელი მეჯვრეა. ყველამ აქ „პირისანახეი“ (საჩუქარი) უნდა წარადგინოს ნეფე-დედოფლისათვის; რასაც საჭიროთ აცხადებენ, რაც შეგუოვდება ფულათ თუ ნივთათ, იქვე დასთელიან მღვდლისივე წინაშე და ოჯახის უფროსთ გადასცემენ ნეფე-დედოფალის სასარგებლოდ.

პირველში ძმადე ადგება და მეჯვარის სანიჭარს წარმოადგენს:

-დიდება ღმერთსა მოწყალესა! ღმერთო, ნუ წაახდენ სჯულსა საქრისტიანოსა.... გაუმარჯვე ჩვენთვის მწყალობელ ხელმწიფესა. აქ მსხდომარენი კარგათ გვიმყოფე და მის სიმართლით უშველე მტერთა. მეჯვრე ბატონს მოუსხენებია ხელმწიფის ბედნიერებისთვის (3 მ. ან რაიმე ოქროს ან ვერცხლის ნივთი, რაც იქნება).

ღმერთმა გაამდიდროს... თავის შვილებისაც შეასწრას, შაბაში!.. ამავე წესით მოჰყვებიან ვინც გაიმეტებს სანიჭარსა..

ასე, სამი დღე შესრულდება ქორწილის ლხინი და ამით დასრულდება.

ჯვრის წერის პირველ ღამეს. მეფე. რაღენიმე მაყარ-მხლებლებით, უცბათ მივა სი-

*) ხონჩა ცალა, ხუფრა.
**) მოსაკინხი, მისარეშეკი.
***) სანიჭარი, ხაჩუქარი.

დედრთან სანახავად. სიდედრიც დასაჩუქრებს. და ისე მაშინათვე ჯამობრუნდებიან უკან.

ზემო აღწერილი ქორწილი, ჯავახეთში დღემდის მოგვყოლია, მარა სამწუხაროთ, უვარგისი მთავრობის გამო, რადგანაც შეწუხდა ხალხი, დაღარიბდა მეტის მეტი გადასახადებიდან, უკანონო ვეღარ შეძლეს უზომო ხარჯები და პირი აღრიკეს სრულიად: რასაც მოჰყვა გულის გაკიება ყოველიფერზედ, დაუანგდათ სალხინოთ აღღერილი სიმები, დაუდუმდათ ტანჯვა-ვაებაში მკვირცხლი ენა და მით თანდათან ისპობა ძვირფასი სიმღერა-გალობანიც, რომელიც უკვე აღწერილი გვქონდა, და ამ რიგათ შევიწროებულ ცხოვრების პირობებში მყოფ ხალხში ივიწყება ყოველივე მამაპაპური დიდებული ჩვეულებანი. რომელიც წვერ თეორებიან ერთათ ღრმათ იმარხება მიწაში.

მე კარგათ მახსოვს, 1880 — 1882 წლამდის ასეთი ქორწილები მინახავს ჯავახეთში. რომელიც უკეთ აწერილი მაქვს. რასაც კიდევ ხელს უმართავდა ასეთ ხელ აქ გაშლილ ცხოვრებაში იმ დროინდელი უხვი მოსავალების ჰირნახულისა, რომელიც „ოკეთ ნათქვამი მაქვს „ჯვარი ვახის“ მე-8 №-ში. ამავე 1906 წელს. გვერდი 23-ში. და დღეს კი. როგორც მოგახსენეთ ათაყრობის შევიწროებამ და მოუსავლელობამ მოსპო ყოველივე მამაპაპური ჩვეულებანი და რაც რომ დარჩენილა ისინიც მალე მოისპობა

დღევანდელი ქორწილში ერთჯერაც ძლივას აძლობდენ წვეულთა. რომელნი ორ-ორ საათს ძლივას სხედან სუფრაზედ ჯავახეთში.

საახალწლოთ

ჯავახებიც. როგორც საქართველოს სხვა კუთხეები. ახალწელწადს თავისებურათ (პამაპაპისგან დარჩენილ ჩვეულებით) ეგებნბიან, ტკბილეულობითა.

გათენებამდის, ღილაბნელს. ჩვეულებათ აქვთ ერთმანეთს უფერხავენ მეზობლები და ნათესავები. შესვლისთანავე სახლში შეფერხაი ღიძახებს:

შემოვდგი ფეხი,
გწყალობდეთ ღმერთი:
ფეხი ჩემი
და კეთილი ანგელოზისა.

შემდეგ შეფერხავი ერთ კაკალს გაავორებს. ოდაში გაგორებულს მასპინძელი გაეკიდება და საჩქაროთ გასტეხს: თუ სალია. სახე გაუბრწყინდება გამტეხს, რადგან სალი და გაუკირვებელი წელიწადი მოლბრუნდება იმ წელს: თუ ფუჭი გამოდგა, ელდა ეცემა. რადგან უბედურება მოელის მას იმ წელიწადსა ყოველ მხრივ. როდესაც გაგორებულს კაკალს გასტეხს მასპინძელი, მაშინ ისწრაფის რომ მფერხავი მალე დააჯდინოს ღირსეულს ადგილზე. რასაც ბუხრის თავი შეადგენს. ხანი თუ დააყოვნა და მალე არ დააჯდინა, იმის მომასწავებელია, რომ კვერცხებზე ქათამს რო დააჯდენს წიწილების გამოსაჩეკათ, ქათამი გული აგდებული იქნება. და როგორც რიგია ბუდეზე არ დაჰყოფს წესიერათ. რასაც კვერცხებს გაციება და გალაყება მოსალოდნელია. ამის შემდეგ. მიართმევენ ოტკას. მაზალავას და ნამცხვარს: ასაუზმებენ და ესრედ. დაჰყოფს ზარის შემოკვრამდის და შემდეგ ეკკლესისკენ გაეშურებიან დიდით წვრილთამდის სქესის განურჩევლად. **ჯ. გვარამაძე.**

(შემდეგი იქნება).

რედაქტორ-გამომცემელი
მ. პ. დ. მულაშაშვილი-პაწაძე

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ
1906 ᲬᲔᲚᲡ

5 მარტიდან გამოდის ყოველკვირეულ გაზეთად, ზომით ერთიდან ორ თაბახამდის.

ფასი გაზეთისა წლის დამლევამდის ტფილისსა და ტფილისს გარედ გაგზავნით 3 მან., 5 თვით — 2 მანეთი.

„ივერიის“ შარშანდელ ხელის მომწერთ. რომელთაც ხელმოსაწერი ფული სრულად ჰქონდათ შემოტანილი. დაურიგდებათ დაკლებული პრემიები №№ 8 — 11, რომლებიც უკვე დაბეჭდილია, ხოლო დანარჩენ მე-12 ნომრის მაგიერ გაეგზავნებათ ყოველკვირეული „ივერია“ ერთი თვის განმავლობაში.

ჩვენს მოწერა მაიდება „ეკერაის“ რედაქციაში, ფერეიანის ქუჩაზე, № 5.

ხფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція « ИВЕРІА ».

სტამბა „ᲘᲓᲔᲐᲚᲘ“ (მ. დ. კიკნაძისა)
ნიკოლოზის ქუჩა, მილოვის სახლი № 6.